ფასი 50 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 126 პარასკევი, 27 დეკემბერი, 1918 წ. № 126.

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

## კ ი ტ ა

აბაშიძის გარდაცვალების წლის თავზე, მისი სულის მოსახსენებლად, კვირას, 29 დეკ. დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ მისი ჭირისუფლები. წირვის დასაწყისი $10^1/_2$ ს. პანაშვიდი $1^1/_2$ საათზე.
12 16 3—1.

## მამულიშვილნო!
## დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია

## მოიხადეთ თქვენ მოვალეობა

**ქართული ლეგიონი საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით მოუწოდებს მოხალისეებს.**

მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაში, (სასახლის ქუჩა) ქართული თეატრის ეზოში, სადაც დროებით მოთავსებულია ლეგიონის კანცელარია. იქვე შეიძლება ყოველგვარი პირობების შეტყობა.

ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლ ე ო კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე.

## საწერ მანქანებს ქართულ ენაზე

ვიღებთ გადასაკეთებლად. გადაკეთება შეიძლება სისტემების „უნდერვუდ“ და სტეერი“სა, ასოები ფილისა. ტეხნიკური კანტორა „ინჟინერ ვ. ლ. კანდელაკი და ამხანაგობისა“. ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა № 1. 1203 3—1

## მ ა რ ი ლ ი

**ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება**

იძლევა მარილს: დაფქვილი ფუთი—21 მან., დაუფქველი—15 მან. სარაიონო სახლის კომიტეტებს და კერძო პირთ, რომელთაც სურთ მარილის შეძენა უნდა მიმართონ სასურსათო განყოფილებას (რტიშჩევის და ბებუთოვის ქ. კუთხე).

1254 3—2 ტფ. ქ. გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## შაბათს, 28 დეკემბერს საქართველოს მეომართა დღე

ტფილისის მოქალაქენო! დაეხმარეთ იმათ, ვინც თავისი წმინდა სისხლით უზრუნველჰყოფს თქვენს თავისუფლებას და მშვიდობიან არსებობას. დაამზადეთ ყოველგვარი შემოწირულება. ყველაფერს უღრმესი მადლობით მივიღებთ. ქალაქის ყოველ უბანში ავტომობილებით შეაგროვებენ შემოწირულებას. გოლოვინის პროსპექტი № 24.

საქართველოს მეომართა **დამხმარე კომიტეტის**
თავმჯდომარე **ნ. გაბაშვილისა.**

## სამხედრო სამინისტროს

**ს ა ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი ა მ ი თ ა ც ხ ა დ ე ბ ს,**

რომ რადგანაც ტანისამოსისა და მოკაზმულობის სამზადისი ნაკლებად მოიპოვება, სამხედრო მინისტრმა გასცა ბრძანება, რომ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს მიეცეთ სასყიდელი იმ ტანისამოსში, რომელსაც იგი მოიტანს, თუ ეს ტანისამოსი ვარგა სახმარებლად და შეეფერება არსებულ ფორმას. დაწესებულია შემდეგი ფასები:

| | | |
|---|---|---|
| თითო მაზარაში | 75 | მანეთი |
| ხალათში | 53 | „ |
| შარვალში | 40 | „ |
| პერანგში | 15 | „ |
| პერანგის ამხანაგში | 15 | „ |
| ერთ წყვილ წინდაში | 4 | მან. და 10 შაური |
| ერთ წყვილ წაღაში | 120 | „ |
| ერთ წყვილ ბათინკაში | 105 | „ |

1244 3—2

ტფილისის მთავრობის კომერციული სასწავლებელი ამით აცხადებს, რომ

## საღამო-ბალი,

რომელიც 28 დეკემბერს უნდა გამართულიყო, გადადებულია. ბილეთები, რომელნიც გაყიდული იყო 28 დეკემბრისთვის გამოდგება. საღამოს გამართვა ცალკე იქნება გამოცხადებული.

1221 1—1 **სასწავლებლის დირექტორი მახათაძე.**

**კახეთის რკინის გზის ლინდაგის I უბნის უფროსი**

ამით აცხადებს, რომ იანვრის 3-ს დღის 12 საათზე. დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

საქართველოს სახაზინო რკინის გზების სამმართველოსაგან სადგ. ნავთლუღში კახ. მიღებულ შენობების საცხოვრებლად გადასაკეთებლად. (სამუშაო, სადურგლო, საკალატოზო და სამღებრო). ყოველივე დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება 1 უბნის უფროსის კანტორაში 9—3 საათ. ტელ. № 7—50 კიროჩნი ქ. № 32. 1222 1—1

## მოხალისეთა რაზმების შტაბი

მოთავსებულია ფრეილინის ქუჩაზე № 11 (სოლოლაკი), სადაც შეიძლება ყოველივე ცნობების გაგება რაზმების შედგენის შესახებ, ორგანიზაციისა და პირობები სამსახურში მიღებისა. იქვე შეიძლება ჩაწერა მოხალისეთა დრუჟინებში.

რაზმების შტაბის უფროსი **პოლკოვნიკი კარგარეთელი**

## სახელმწიფო თეატრი

— ო პ ე რ ა. —

ს. ა. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს, დეკემბრის 26-ს დირიჟორის სამოსუდის ბენეფისი

## ჰოფმანის ზღაპრები

საბანეევა-ოლიმპია, შულგინა-ანტონია, შვამბერგ-ჯულიეტა, ძოროხოვა წიკლაური, ზალიპსკი—გოფმანი, ნიკოლსკი—ლინდორფ, კოტელიუსი—დეპერტუტო—მერეაკლი. კვირას, დეკემბრის 29-ს, „ევგენი ონეგინი“, საღამოს—ალეშკოს, კანშინის, პოლიაევის მონაწილეობით „ტოსკა და ბალეტი“. სამშაბათს, დეკემბრის 31-ს—საბანეევას, სარაჯიშვილის, ინაევის მონაწილეობით—„ტრავიატა“. 1287 1—1

## ოფიციალური განყოფილება

## კ ა ნ ო ნ ი

**სამხედრო საჭიროებისათვის თანხის გადადებისა.**

1. გადადებულ იქნეს სახელმწიფოს ხაზინის თავისუფალი თანხიდან მთავრობის განკარგულებაში სამხედრო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ოცდა ხუთი მილიონი (25000000) მან.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა პარლამენტის მიერ.

1918 წ., დეკემბრის 20.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## კ ა ნ ო ნ ი

**ხარჯთ-აღრიცხვისა ტფილისის სასახლის შესანახად.**

1. დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივლისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონთან დართული ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისის სასახლის შესანახად.

2. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნულ ხარჯთ-აღრიცხვისათვის სამას ორმოცდა თექვსმეტი ათასი შვიდას ორმოცდა თექვსმეტი (356756) მანეთი.

1918 წ. დეკემბრის 20-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## შ ტ ა ტ ი

ტფილისი სასახლის მოსამსახურეთა.

| №№ რიგზე. | თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა. | რიცხვი. | ჯამაგირი თითოეულს. | ჯამაგირი გადიდებული დეკემბრიდან. | ყველას ივლისიდან პირველ იანვრამდე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასახლის ზედამხედველი | 1 | 750 | 750 | 4500 |
| 2 | მისი თანაშემწე | 1 | 500 | 600 | 3100 |
| 3 | ბუხჰალტერი | 1 | 300 | 700 | 2200 |
| 4 | კონტორის მოსამსახურე | 1 | 225 | 400 | 1525 |
| 5 | მიკრიკები, დამლაგებლები, შვეიცრები, მეკარენი, ღამის დარაჯნი, იატაკის მწმენდავნი, მუშები, მეეზოვენი და სხვა | 52 | 300 | 400 | 98800 |
| 6 | მცირეწლოვანი მსახური | 4 | 225 | 300 | 5700 |
| 7 | დურგალი | 2 | 400 | 500 | 5000 |
| 8 | ცეცხლის დამთები. | 2 | 300 | 400 | 3800 |
| 9 | მოსარეცხე | 1 | 300 | 400 | 1900 |
| | | — | — | — | 126525 |
| 10 | დათხოვნილ მოსამსახურეთათვის ივლისის პირველიდან ნოემბრის პირველამდე გაცემული ჯამაგირი და სალიკვიდაციო | — | — | — | 14700 |
| | | — | — | — | 141225 |

### სხვა და სხვა სამეურნეო ხარჯი.

| | |
|---|---|
| 1. კანცელარიის | 1000 |
| 2. ტელეფონის | 1500 |
| 3. საათების მომართვა და შეკეთება | 250 |
| 4. შკაფების და მაგიდის უჯრბეს კლიტე-გასაღები | 1500 |
| 5. საფურთხებელი 18 ცალი | 180 |
| 6. საფერფლე 60 „ | 190 |
| 7. ცოცხი 85 „ | 620 |
| 8. იატაკისათვის ტილო, სკიპიდარი და სხვა | 700 |
| 9. „ მაუდი და ტომრები | 300 |
| 10. გოგირდის სიმჟავე | 60 |
| 11. ნაგავის გამტანს თვეში 250 | 1500 |
| 12. ავეჯის შეკეთება | 2000 |
| 13. შუშების ჩასმა | 2000 |
| 14. ჭურჭლის შეკეთება და მოვლა | 700 |
| 15. ჩაისთვის ივლისის პირველიდან სექტემბრის პირველამდე | 2066 |
| | 14566 |

### სამრეცხველოს ხარჯი.

| | |
|---|---|
| 1. მანქანათა შეკეთება, მოვლა და საჭირო მასალის შეძენა | 1600 |
| მოსამსახურეთათვის ავადმყოფობის, ან სიკვდილის, ან სხვა გაჭირების გამო დახმარება | 10000 |

### სასახლის გათბობა.

| | |
|---|---|
| გათბობა საჭიროა ოთხ თვე ნახევარის განმავლობაში. 32 ბუხარს სჭირდება ¾ საჟ. შეშა თვითეულს: 54 ღუმელი ½ საჟ. თვითეულს. სულ 51 საჟ. მთელი წლის განმავლობაში 4 ღუმელი სამრეცხველოში და სამზარეულოში—40 საჟ. ბაღში 18 ღუმელი 18 საჟ.—30 საჟ. სულ—121 საჟ. | 70000 |
| სასახლის მიმდინარე რემონტი | 29000 |
| ელექტრონის სადგური | 55000 |
| სასახლის ბაღის შენახვა | 35365 |
| | 356756 |

1918 წ. დეკემბრის 20.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

## არა ოფიციალური განყოფილება

# სამშობლოს დასაცავად

### ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის მოწოდება.

ორი ათასი წლის განმავლობაში ჩვენთან ძმურათ შეზრდილ სომხის ერის დღევანდელმა მთავრობამ ქურდულათ, მოპარვით, მუხანათურათ სტყორცნა ისარი ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, რომ შიგ გულში დაეკოდა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო. სანაინ-ვარანცოვკას მიდამოებში ვერაგულათ დაღვარეს ჩვენი უმანკო სისხლი, რომ შიგ ჩაახშონ ჩვენი თავისუფლება და ნიადაგი მოუმზადონ გარეშე ძალთა მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობას. შურით და მტრობით აღსავსე გულღვაძლიანმა სომხის მთავრობამ იმ ერთგულ ძმებს გაუგმირა გული, რომელთა თავგანწირული ბრძოლით სადახლოს და სხვა მიდამოებში არა ერთ სომეხს შეარჩინა სიცოცხლე — არსებობა.—უმადურმა და იუდა გამცემელმა სომხის მთავრობამ კონტრ—რევოლიუციონერთა და რეაქციონერთა იმედით უარყო სამშვიდობო გზით სადავო საკითხების გადაჭრა, უარყო ერთა სოლიდარობა და ხმალს მაშინ მოჰკიდა ხელი როცა მის ქარქაშში ჩაგებას ეტრფის მთელი განათლებული კაცობრიობა, როცა უზარ-მაზარი სახელმწიფოებიც კი მსოფლიო ზავის მოლოდინში ხმალს დაბლა ხრიან. სწორეთ ამიტომ ორკეცათ უნდა დაისაჯოს სომხის მთავრობა. ხმლის ამო[illegible]ლები ხმლითვე უნდა გაიგმირო[illegible] რადგანაც სხვა გამოსავალი არ არის; [illegible] ბრძენი მთავრობაც ამ გზას [illegible] რესპუბლიკის სახელოვანი ჯარი თავგანწ[illegible]რულათ ეკვეთა სომხეთის ჯარს და კიდევაც დაამტკიცა რომ ის ღირსეული შვილია თავისუფალ საქართველოსი. ეხლა მას უნდა ძალის მიცემა, ზურგის გამაგრება, სურსათის მიწვდენა და ამისთვის ყველა ორგანიზაცია, ყველა მოქალაქე, ფეხზე უნდა დადგეს.

მოქალაქენო! ჩვენი ერი, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ოჯახი, ჩვენი თვითარსებობა უკიდურეს განსაცდელშია ჩავარდნილი, და შველას ჩვენგან მოელის. გახსოვდეთ ჩვენი დღევანდელი დამარცხება განადგურებას ედრება. გმირო ჯარისკაცნო, სახელოვანო გვარდიავ, სამშობლოს თავგანწირულო დამცველნო მოხალისენო, ჩვენი ქვეყანა დღეს ხსნას თქვენგან მოელის, დაუყონებლივ გაეშურეთ მტრის წინააღმდეგ. შეძლებულნო მამულიშვილნო, თავდაცვას ფული სჭირია, დაეხმარეთ საქართველოს რესპუბლ[illegible]რობას.

ერის ბურჯნო, [illegible]დებავ და მარჩენალო ღალის [illegible]ნო, დაჩქარებით შეიტანეთ სადაც ჯე[illegible] არს თქვენი წილი ღალა, რომ სურსათით უზრუნველვყოთ ჩვენი მებრძოლი მეომარი ძალები.

საქართველოს სიამაყე გურულებო, თქვენ მიერ არჩეული ერობა, როგორც თქვენი ბრძოლით მოპოვებული თქვენივე ორგანიზაცია, მოგიწოდებს ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ ქვეყანას, რომ თქვენ ხართ ფრთხილი ღარაჯი ჩვენი თავისუფლებისა და საიმედო ყავარჯენი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს და მის დამცველ სახელოვან ჯარს, გმირ გვარდიას და მოხალისეთ.

19 დეკემბერი 1918 წელი ქ. ოზურგეთი.

### ცენტრალური მედიკური-სასანიტარო საბჭო.

მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებისამებრ ტფილისში შესდგა ცენტრალური მედიკურ-სასანიტარო საბჭო სამხედრო სამედიკო ინსპექტორის თავმჯდომარეობით. ამ საბჭოს შეადგენენ ორ-ორი წარმომადგენელნი სამხედრო სამედიკო უწყებისაგან, საქართველოს ქალაქთა კავშირისაგან, საქართველოს წითელი ჯვრისაგან, სახალხო გვარდიის უმთავრეს შტაბისაგან და საქართველოს რკინის გზების გამგეობისაგან.

მუშაობა ამ ორგანიზაციების შორის ამ გვარად არის განაწილებული; ქალაქის კავშირის უმთავრეს კომიტეტს უკისრია ღრმა ზურგის მოწყობა ქსენონებით დაჭრილ და ავათმყოფ მეომრების მისაღებათ, წითელ ჯვარს უკისრია მოწყობა ფრონტზე დაჭრილების და ავათმყოფების მიღება და ღრმა ზურგის ქსენონებში მათი გადაგზავნა, მხოლოდ სამხედრო სამედიკო უწყებას უკისრია მოაწყოს თვით ბრძოლის ველზე დაჭრილების გამოყვანა, იქვე საექიმო შემწეობის მიცემა, მოკლულთა გამოტანა და დაკრძალვა.

ამ ვრცელ მედიკურ სასანიტარო საბჭოს გარდა, დაარსდა მცირე საბჭო ყოველ დღიურ საქმეების საწარმოებლათ. მცირე საბჭოს შეადგენენ საბჭოს თავმჯდომარე—სამხედრო სამედიკო-სასანიტარო ინსპექტორი და წევრნი თითო წარმომადგენელი ქალაქთა კავშირისაგან, წითელ ჯვრისაგან და სახალხო გვარდიის შტაბისაგან.

### ფეხსაცმელები ჯარისთვის.

საქართველოს ქალაქების კავშირის უმთავრეს კომიტეტმა სწრაფად გააფართოვა თავისი ფეხსაცმლის ქარხანა, რომელიც ამ უკანასკნელ ორ-სამ დღეში ას-ას წყვილ ფეხსაცმელს ამზადებს ჯარისთვის. ამ დღეებში ამ ქარხანაში მოემატება მუშა ხელოსანნი და იმედი აქვთ, რომ დღეში ორას წყვილ ფეხსაცმელს შეკერავენ.

### პური ჯარისთვის.

საქართველოს ქალაქთა კავშირის უმთავრესი კომიტეტი მონაწილეობას იღებს აგრეთვე ლაშქრისთვის და სახალხო გვარდიისთვის პურის გამოცხობაში. რადგანაც ტფილისის ყველა წისქვილი დღე და ღამე შეუწყვეტელათ მუშაობს ხორბლის დასაფქვავად საქართველოს ლაშქრისათვის და სახალხო გვარდიისთვის, ამიტომ კვირამდე შესწყდა ქალაქში იაფ ფასიან პურის გამოცხობა მოქალაქეთათვის და წისქვილებში დასაფქვავლათ მიტანილი კერძო პირთა მიერ ხორბალი დაუფქვევლათ რჩება კვირამდე. მოქალაქეთ უნდა იკმარონ პურის გამოსაცხობათ ის ფქვილი, რომლის თადარიგი მათ აქვთ.

### ქალაქთა კავშირის კრება,

დღეს, 27 დეკემბერს, დანიშნულია საქართველოს ქალაქთა კავშირის უმთავრეს კომიტეტის კრება განსახილველად იმ საგნებისა, რომელიც შეეხება მეომარ საქართველოს ლაშქარსა და სახალხო გვარდიას.

# საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდი

### სია იმ პირთა, რომელთაგან შემოსულია სამხედრო სამინისტროში შემოწირულებანი საქართველოს რესპუბლიკის არმიის მოხალისეთა რაზმების შესადგენათ.

ივანე გულიაშვილმა—100 მ., ალექსი სულხანიშვილმა 100 მ., ზალიკო ნავრუზაშვილმა 100 მ., ილია ბაზერაშვილმა 100 მ., გიორგი კაცელაშვილმა 100 მ., გიორგი ზურაბაშვილმა 100 მ., იაგორ გუგუნაშვილმა 100 მ., ლუკა ბაზერაშვილმა 100 მ., თედორე რევაზიშვილმა 100 მ., დიმიტრი ცოცხალაშვილმა 100 მ., პავლე კიკოლაშვილმა 100 მ., ალექსი კუჭიაშვილმა 100 მ., სოლომონ ივანაშვილმა 100 მან., არსენ გელაშვილმა 100 მ., პართენ გივიევმა 100 მ., შაქრო გაბაძემ 50 მ., სოლომონ შავყულაშვილმა 50 მ., ალექსი დილმელაშვილმა 100 მ., პორფილე მეშვილდეშვილმა 100 მ., დიმიტრი ძამაშვილმა 200 მ., გიორგი ჭილაშვილმა 100 მ., მალაქია ქიტაშვილმა 50 მან., იასონ გუგულაშვილმა 100 მ., თათუზ პეტრუზოვმა 50 მ., ალექსანდრე პაპუაშვილმა 200 მ., ზაქარია ლომიშვილმა 200 მ., ნიკო ნაცვლიშვილმა 50 მ., სიმონ აბიაშვილმა 50 მ., თედო ხუციშვილმა 50 მ., საქული კაკიაშვილმა 50 მ., ივანე ბერიშვილმა 50 მ., პავლე ხოსიტაშვილმა 50 მ., გრიგოლ ყაზიაშვილმა 100 მან., დიმიტრი ბაზერაშვილმა 100 მ., სიმონ ახალკაციშვილმა 200 მ., ალექსანდრე ლაზიაშვილმა 100 მ., ალექსანდრე ყაზიშვილმა 50 მ., ალექსი პანჩიკიძემ 100 მ., დიმიტრი მამუჩაშვილმა 50 მ., ილიკო ინაძემ 50 მ., ვასილ ბერიზაშვილმა 50 მ., ვანო კოჩანაშვილმა 50 მ., დავით ძამაშვილმა 50 მ., ალექსანდრე ყაზიშვილმა 100 მ., ალექსანდრე შიხაშვილმა 50 მ., ივანე ივანეშვილმა 100 მ., იოსებ ტურაშვილმა 50 მ., ალექსანდრე ჭიაურმა 50 მ., ვასილი კაპანაძემ 50 მ., ზაქარია ჯამუტაშვილმა 50 მ., ალექსანდრე მელალიშვილმა 20 მ., ალექსანდრე ქურხულმა 50 მ., ივანე ჟუჟიაშვილმა 20 მ., სიმონ მელალიშვილმა 50 მან., იოსებ ბრეგვაძემ 50 მ., ესტატე მანთაშევმა 100 მ., ექიმ იოსებ თუმანიშვილმა 500 მან. სულ 5140 მანეთი.

სამხედრო სამინ. საერთო გან. უფროსის დ. თ. ა. პოლკოვნიკი ზაქარიაძე. სარეგისტრაციო სექციის უფროსი კაპიტანი გიორგაძე.

### საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში შემოვიდა შემოწირულება.

ჭავჭანიძისაგან და გველესიანისაგან—32 წყვილი ხელთათმანი უთითო და 67 წყვილი თბილი. მოსე კალანდარიშვილისაგან—ფულათ 100 მანეთი. ოსიპოვისაგან—3 მანეთი. ალექსანდრე სპირიდონის ძე ზიდგინიძაგან—10 შეკვრა წუმწუმა, 200 ცალი პაპიროზი, 12 წყვილი თბილი ხელთათმანი, 2 წყვილი წინდა, 4 ცალი საპონი, 10 თოფი ნემსი, 4 ცალი კოჭის ძაფი, 24 ცალი ფოლაქი, 1 შეკვრა ფოლაქი პერანგებისათვის. სულ—140 ცალი ნივთი. მარკოზოვისაგან—10 კოლოფი წუმწუმა, 10 კოლოფი პაპიროსი. ქომითიანისაგან—10 ცალი პაპიროსი, 3 ცალი პაპიროსის ქაღალდი, 4 ცალი თუთუნი, 2 ნაჭერი საპონი, 6 ცალი წუმწუმა, 4 ცალი ფანქარი, 24 ფურცელი პაპიროსის ქაღალდი, 1 ცალი ჩაი, 24 ცალი კონვერტი და 24 ცალი ფოსტის ქაღალდი.

### სასტუმრო „ნოე“-ს მოსამსახურეთაგან.

ალ. მიქაძე 20 მ., ვლადიმერ გოგუაძე 20 მ., ნესტორ აბუსერიძე 20 მ., ვასო აბუსერიძე 10 მან., ჯაბულ თოდრია 10 მ., გოთლიბ გერმან 10 მ., ელენე სიმონიშვილი 10 მ., მარუსია კიჩიტაია 10 მ., სულ 110 მანეთი. ნეპონიაშჩისაგან 10 მ., მარინე აფხაზისაგან 10 მ., გ. ლაჟონიასაგან 25 მ., ლაჟონიასაგან 40 მ. მოსკოვის ქუჩის თავდაცვის რაზმისათვის შეგროვილი. მარკოზოვისაგან 5 მ., სულით ავათმყოფთა თავშესაფარის მოსამსახურეთა შორის მოგროვილი 175 მან. ემანუელ ლეგრანისაგან 50 მ., ცენტრალურ სასურსათო საბჭოს მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 1565 მანეთი. ნინა ნიკოლოზის ასული გაბაშვილისაგან 1000 მან., უცნობისაგან 50 მ., თამარ მიქაბერიძისაგან 20 მ., თომა დავითის ძე კონტრიძისაგან 150 მ., გ. ვიქტორ ავალიანისაგან 500 მ., ქ-ნ იულია კილაძისაგან 250 მ., ეკატერინე ყიფშიძისაგან 100 მანეთი.

# საქართველოს მთავარი შტაბის ცნობა

ტ ფ ი ლ ი ს ი, 26 დეკემბერი. გუშინ ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა სოფელი დაგეტ-ხაჩინი. შულავერთან ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

# მოიხადეთ თქვენი ვალი.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო! მოიხადეთ თქვენი ვალი ჩვენი ერისა და დამოუკიდებლობის დამცველთა წინაშე.

მათი თავგანწირული ბრძოლის მეოხებით ჩვენს ქალაქებში მშვიდათ მყოფნო! მიაწოდეთ სულიერი საზრდო ჩვენს გმირებს, ფრონტზე მებრძოლ რესპუბლიკურ ჯარსა და გვარდიას.

სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების თაოსნობით ტფილისის ქუჩებში დადგმულ ყუთებში ჩაუგდეთ ახალი ან წაკითხული ჟურნალ, გაზეთები, რომელიც ყოველ დღე ეგზავნება ჩვენს დამცველთ ფრონტზე. ეს ხომ ყველას შეუძლიან!

სახალხო უნივერსიტეტის ქართული სექცია.

# საქართველოს პარლამენტი

(75, ს ხ დ ო მ ა)

პარასკევი, 1918 წ. დეკემბრის 27 სხდომა.

### დ ღ ი უ რ ი წ ე ს რ ი გ ი:

1. კანონ-პროექტი სამოქალაქო უქმე დღეებისა.

მომხსენებელია თევ. კიკვაძე.

2. კანონ-პროექტი მიწათ-მოქმედების სამინისტროს შტატისა.

3. სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის არჩევა.

# კანონ-პროექტი

### მოკლე განმარტება.

მარინეს საირრიგაციო ამხანაგობის გაუქმების და მისი ქონების სახელმწიფოს ხელში გადაცემის შესახებ.

1860 წელს დაარსდა „მართმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება კავკასიაში“.

ორი წლის შემდეგ, 1862 წლის 13 ოქტომბერს, მან მეფის განკარგულებით მიიღო 100,000 დესეტინა მიწა საჩუქრად კავკასიაში, იმ დროსვე ამ მიწების ანგარიშში საზოგადოებას მიუზომებს 30 ათასი დესეტინა ზემო და ქვემო ყარაიაზის ველში.

დაისვა კითხვა ამ მიწათა მორწყვის შესახებ. 1865 წ. საზოგადოებამ შეადგინა 16 ათას დესეტინისათვის საირრიგაციო გეგმა და საქმესაც შეუდგა. ხარჯების დასაფარავად მთავრობამ ნება დართო გაეყიდათ მიწები კერძო საკუთრებათ.

მაგრამ, მალე გამოირკვა, რომ ამ გაყიდულ მიწებისაგან აღებული ფული სრულიად საკმარისი არ იქნებოდა საქმის დასრულებისათვის და ხაზინა იძულებული გახდა ჩარეულიყო საქმეში. შესდგა ეგრედ წოდებული „მარინეს სახელობის ამხანაგობა“, რომლის წევრებადაც შევიდნენ კერძო პირნი, რომელთაც საზოგადოებისაგან მიწები ჰქონდათ ნაყიდი, სოფლელი თათრები და გადმოსახლებული რუსები. ახლათ შემდგარ ამხანაგობაში, როგორც მიწის მესაკუთრე, შევიდა, მონაწილეთ, ხაზინაც.

ეს იყო 1885 წელს. ამხანაგობის ყველა წევრები ირჩევენ გამგეობას და მეთვალ-ყურე კომიტეტს. ხაზინა გამგეობის ხუთ წევრისაგან ნიშნავს ორს და საზოგადოთ სარგებლობს ხუთი ხმით.

საზოგადოება ურთიერთ-შორის განაწილებით, ჰკრეფს ფულებს არხის შესაკეთებლათ და საექსპლოატაციოთ საჭირო პერსონალის დასაქირავებლად.

1891 წლიდან ხაზინა აჩქარებული ტემპით იწყებს ამ რაიონის დასახლებას რუსეთიდან გადმოსახლებულებით და აძლევს თითო სულს $3^1/_2$ დესეტინას. ამრიგათ გაშენდა ოთხი სოფელი: მიხაილოვკა, ტატიანოვკა, ვოეკიოვო და ვასილიევკა.

ყველა ამ სოფლებს მიზომილი ჰქონდათ 3368 დესეტინა მამული. 1911 წელს, ხაზინამ მიუზომა 640 დესეტინა მიწა ნადელათ შემდეგ თათრის სოფლებს: ნაზარლოს, ქესალოს, გიულკენდს, კპანახჩის და გამონაყოფს მუშადაბაზს, ხუთ-ხუთი დესეტინა თითო კომლს.

მომხდარ რევოლიუციის შემდეგ მაჰმადიან მცხოვრებლების შემოტევის გამო, რუსეთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გადმოსახლებულებმა მიატოვეს კარ-მიდამო და მამულიც დაახლოვებით 4000 დესეტინა.

16 დეკემბრის, 1917 წელს დეკრეტის ძალით, კერძო მესაკუთრეებს ერთმევათ 50,000 დესეტინამდის მიწა. ხაზინასაც ჰქონდა თავისუფალი 18,000 დესეტინა. (სადაც შედიან ბოტანიკური ბაღი, საცდელი მინდორი, ყარაიაზის სანადირო აგარაკი, საჰიდრო-მოდული განყოფილება და სხვა).

არხი რწყავს დაახლოვებით 19 ათას დესეტინა მიწას და აქვს სიგრძე 15 ვერსი. ხოლო მის შტოებს—120 ვერსი.

ამ რიგად 80% მეტი სარწყავ მამულისა აღმოჩნდა მთავრობის ხელში, რომელიც ბუნებრივათ პატრონი უნდა გამხდარიყო საირრიგაციო არხისა, მაშინ როდესაც იგი ეხლა წარმოდგენილია ხუთი ხმით.

უმეტესი ნაწილი დაინტერესებულ პირთა წავიდა და არხი თითქმის ღვთის ანაბარათ დარჩა, ამგვარათ იგი ფუჭდება და ხდება შემდეგისთვის გამოუსადეგრათ.

ამ ჟამათ მიწათ-მოქმედების სამინისტრო სცდილობს ამ მიწებზე დაასახლოს ახალ-ქალაქის და სხვა მაზრებიდან გადმოხვეწილები, ამიტომაც უმორჩილესი თხოვნით მივმართავთ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას მიიღოს სახელმწიფოს განკარგულებაში დასახელებული საირრიგაციო არხი.

ამასთან ერთად გაახლებთ სათანადო კანონ-პროექტს.

# შინაგან საქმეთა სამინისტროში

**ქალაქთა ხმოსნების არჩევნებისთვის.**

რადგანაც 1919 წლის 1 იანვარს თავდება ქალაქის საბჭოთა ხმოსნების რწმუნებულების ვადა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ყველა ქალაქის თვითმართველობას შეუდგნენ ახალი ხმოსნების არჩევნებს 24 დეკემბრის გაზეთ „სართველოს რესპუბლიკი“-ს № 123 გამოქვეყნებულ „ქალაქის თვითმართველობათა ხმოსნების არჩევნების კანონის“ თანახმად.

# საგარეო საქმეთა სამინისტროში

**რუსების შესახებ.**

საქართველოს რესპუბლიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა რუსთა ეროვნულ საბჭოს აცნობა, რომ მთავრობის დადგენილებით გამოცხადებული მობილიზაცია რუსებს არ ეხებათ.

# საგენერალ-გუბერნატოროში

**ჩხრეკა.**

გენ. გუბერნატორის განკარგულებით სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება გასჩხრიკეს და დააპატიმრეს რამოდენიმე სომეხი ახალგაზრდა.

# ფოსტა-ტელეგრაფი

**ლანირში.**

გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება სოფელ ლანირში, ქუთაისის მაზრა.

ფოსტის გაცვლა-გამოცვლა დადგენილია ხონის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან, რომელიც შორავს ზემო მოხსენებულ განყოფილებას რვა ვერსით.

# სია დღესასწაულების 1919 წ.

**როდესაც მუშაობა არ შეიძლება**

იანვარი. ახალი წელიწადი. 7 და 8 შობა ქრისტესი, 19 ნათლის-ღება უფლისა.

თებერვალი. 15 მირქმა უფლისა.

მარტი. არ არის.

აპრილი. 7 ხარება ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა. 18 და 19 პარასკევი და შაბათი ვნების კვირისა. 21 და 22 ორშაბათი და სამშაბათი აღდგომის კვირისა.

მაისი. 1. მუშათა ინტერნაციონალი. 26 საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. 26 ამაღლება უფლისა.

ივნისი. 8 მეორე დღე სული წმიდის მოფენისა.

ივლისი. არ არის.

აგვისტო. 19 ფერისცვალება უფლისა. 29 მიძინება ყოვლად წმიდა ღვთ. მშ.

სექტემბერი. 21 შობა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა. 7 ჯვართ ამაღ. უფლ.

ოქტომბერი. არ არის.

ნოემბერი. არ არის.

დეკემბერი. 4 ტაძრად მიყვანება ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა.

და ყველა კვირა დღეები.

# ეროვნული დროშები.

კულტურის და შრომის კავშირმა დაამზადა რამოდენიმე ასი ეროვნული დროშის მასალა და დროშების შეკერვა შეუკვეთა სავაჭრო სახლს „შუამავალს“, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის. მასალის და თვით დროშების შეძენა (დაკლებულ ფასებში) შეიძლება პირდაპირ კულტ. და შრომის კავშირისაგან. მსურველთ უნდა მიჰმართონ იუსტიციის სამინასტროში დ. წითლანაძეს ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.-

# ქალაქის გამგეობაში.

**მოქალაქეთა გადაწერა.**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა 28, 29 და 30 ტფილისში მოახდინოს გადაწერა იმ მოქალაქეთა, რომელთაც უფლება აქვთ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა ამრჩევლების სიის შესადგენათ.

**განათების შესახებ.**

ქალაქის მოურავმა გუშინ ტელეფონოგრამით მილიციის უფროსს წინადადება მისცა, რათა მან მიაქციოს კომისარების ყურადღება ქუჩების განათებაზე და იმ ელექტრონულ სადგურების პატრონებზე, რომელნიც ქუჩებს არ ანათებენ, მაგალითად „ამპერი“, თამამშოვი, „დვიგატელი“ და სხვ. ოქმი შეადგინონ.

**მილიციის შტატის გადიდება.**

ქალაქის გამგეობამ მილიციის უფროსს ნება დართო მილიციონერების შტატს 100 კაცი მიუმატოს და შეადგინოს ტფილისის დამცველი მილიციონერთა რაზმი.

**დახმარების შესახებ.**

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის იმ მოსამსახურეთ, რომელნიც გაწვეულნი არიან ჯარში მობილიზაციის წესით ანუ მიდიან საომრად მოხალისედ იგივე შემწეობა აღმოუჩინოს, როგორსაც უწევდა გასულ ევროპიულ ომის დროს.

**დანიშვნა**

ქალაქის უმთავრეს მიწის მზომელის თანაშემწეთ ქალაქის გამგეობამ ბ-ნი მიტროხინი დანიშნა.

**ავათმყოფობა ტფილისში.**

დეკემბრის 1-დან 24-დე ტფილისის ქსენონში სულ 543 სახადით ავადმყოფი მიუყვანიათ. ამავე ხნის განმავლობაში მორჩენილან და ქსენონიდან გამოწერილან 173 კაცი, გარდაცვლილა 48, ქსენონის სხვა განყოფილებაში გადაუყვანიათ 8, მათ შორის ორი ხოლერიანი. 24 დეკემბერს საავათმყოფოში მიუყვანიათ კიდევ 18 სახადიანი, დღე და ღამის განმავლობაში 2 მორჩენილა, 3 მომკვდარა და დარჩენილა 464 ავათმყოფი. მიმდინარე თვეში უმეტესი დღიური ავათმყოფობა შენიშნულია 23 თარიღით, როცა ერთი დღის განმავლობაში 53 სახადიანი მიუყვანიათ საავათმყოფოში. ამ 543 ავათმყოფებს შორის 110 ლტოლვილი ყოფილა სახადით ავათ.

—

ლტოლვილთა შორის სახადი ძალიან არის გავრცელებული. მათთვის მე-300 ვერსზე საგანგებო ქსენონია დაარსებული და ეს ქსენონი სავსეა ავათმყოფებით. გარდა ლტოლვილებისა ამ ქსენონში ექიმებმა და ავათმყოფების მომვლელმა პერსონალმა ზოგმა იხადა სახადი და ზოგი-კი ავათ არის ამ სენით. გადარჩენილა ამ ავათმყოფობას მათ შორის მარტო 10 კაცი.

—

ქალაქის მე-8 უბნის ექიმი ქალი მ. ვ. თათევოსიანცი სახადით გამხდარა ავათ.

# ქრონიკა

○ ტფილისის რადიოს სადგურმა დაიჭირა შემდეგი რადიოგრამა მოსკოვიდან ასტრახანს: „ჩვენამდი მოღწეულ ცნობებით საქართველოში საბჭოთა მთავრობა აღდგენილია. გთხოვთ გამოელაპარაკოთ რადიოს საშუალებით საქართველოს და რაც შეიძლება მალე გვაცნობოთ ამის შედეგი. სკაჩკოვსკი“.

○ ბაქოდან მოსულ ცნობების თანახმად იქ დაწყებულა გაფიცვა მუშების ზოგიერთ დაპატიმრებულ ამხანაგების გამო.

○ ტელეგრაფი ბაქო—ტფილის შუა გაფუჭებულია და ტელეგრამის გადაცემა შეწყვეტილია.

○ 24 დეკემბერს დიმიტრიევის ქუჩაზე ნახეს მოკლულის გვამი. ჭრილობა აქვს 5 ადგილას. ვინაობა ვერ გამოურკვევიათ.

○ 23 დეკემბერს სოლოლაკის ქუჩაზე უცნობებმა მოჰკლეს ზ. მანუჩაროვი.

○ 24 დეკემბერს ახალციხის შესახვევში, აზარიევის სახლი გაქურდეს. მუქარით 5.000 მანეთის ნივთები წაიღეს.

○ 26 დეკ. საღ. 8 ს. არუთინოვის ტანისამოსის სავაჭროდან, ვორონცოვის ძეგლთან ქურდებმა წაიღეს 60,000 მან. ფულათ და სხვა და სხვა საქონელი.

○ 25 დეკ. საღ. 8 ს. დ. გ. მამუკაშვილის მაღაზიიდან კიროჩნი ქუჩა № 15. უცნობ შეიარაღებულ პირთ წაიღეს 7000 მან. ფულათ და 16 ათას მან. ღირებული ნივთები.

○ დღეს 5-ის ნახევარზე ანასტასიის ქუჩაზე შესდგება მედიკურ ფაკულტეტების მეორე კურსზე დარჩენილ კურსისტკების საზოგადო კრება.

# გერმანული პრესის ცნობა.

(საქ. დეპ. სააგ.)

**საფოსტო კავშირის შეწყვეტა.**

უკრაინაში მყოფ გერმანულ ჯარებთან საფოსტო კავშირი შესწყდა.

**ჰუსტავ მიულერი.**

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ ბერტში გახსნილ საერთო კრებაზე 22 დეკემბერს პარტიის თავმჯდომარეთ აირჩია ჰუსტავ მიულერი.

**მასარიკი.**

მასარიკი პრაგაში ჩამოვიდა. ის ჩეხოსლოვაკთა რესპუბლიკის პრეზიდენტათ აირჩიეს.

**სოც.-დემ. საარჩევნო სია.**

სოც.-დემოკრატიულ უმრავლესობის პარტიამ გამოაქვეყნა დამფუძნებელ კრების კანდიტატთა წინასწარი საარჩევნო სია. სიაში შეტანილია 2 ქალი, ებერტი, გეტმან რობერტი შმიდტი, პვანკუხი, პაველ გირში, ჰელმანი და რუდოლფ კოგენი.

**გამოქცეული მემამულენი.**

ლიბავიდან დანციგში ჩამოსულმა სატრანსპორტო გემებმა ჩამოიყვანეს 60 გერმანელ მემამულეს ოჯახი, რომელნიც ბალტიის მხრიდან რუსის ბოლშევიკებს გამოქცევიან და თავისი ქონება ღვთის ანაბარათ მიუტოვებიათ.

**მაკენზენი და კაროლი.**

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ის კორესპონდენტი ვენიდან იტყობინება, რომ ჰუნგრეთის განმათავისუფლებელ მაკენზენის დაკავება მიეწერება კაროლიის პირად ინიციატივას, რის გამოც ჰუნგრელნი აღშფოთებულნი არიან მის წინააღმდეგ. კაროლიის შეეძლო გაეფრთხილებინა მაკენზენი მის ბუდაპეშტში შესვლამდე. მაგრამ ის ასე არ მოიქცა და თავის მეგობარ ფრანგებს ხელთ ჩაუგდო.

**პოლონელები და ჩეხები.**

პოლონელების და ჩეხების შუა დადებული შეთანხმება იმ ოლქების შესახებ, რომლებითაც ორივე მხარეა დაინტერესებული, დიდმნიშვნელოვანია და სილეზიის გარდა სხვა ოლქებსაც შეეხება. აღმოსავლეთ საქსონიაში ვენის მცხოვრებთა შორის ჩეხელთა სასარგებლოთ დიდი პროპაგანდა სწარმოებს და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარზე თავს უყრიან ჩეხელთა ჯარებს, რაც შიშს იწვევს მცხოვრებთა შორის. ფრანგ-ოფიცრების ზედამხედველობით აგროვებენ ჩეხელთა დიდ ჯარს სხვა და სხვა სამხედრო მასალით, ხოლო რეიზენბერგსა და ბოჰემიაში თავს უყრიან ჩეხელ რკინის გზის მოსამსახურეებს. ეს ფაქტები, რომელიც მწვავდება იქ მყოფ ფრანგ ოფიცრების საქციელით, შეიძლება ისე აიხსნას, რომ საქსონიის ნაწილის ოკუპაცია უკვე მომხდარია.

**არჩევნები გერმანიაში.**

22 დეკემბერს ბერლინი დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანიის დამახასიათებელ სურათს წარმოადგენდა.

გერმანიის ბევრ ნაწილში ორივე მიმართულების სოც.-დემ. შეთანხმდენ და მიუხედავათ იმისა, რომ ცალკე საარჩევნო სიები გამოუშვეს, გაერთიანებას სცილობენ.

გერმანიის რკინის გზის კავშირის სახელმწიფო კონფერენციამ პროტესტი განაცხადა ცენტრის პარტიის სეპარატისტულ გამოსვლებისა და დასავლეთ და აღმოსავლეთ პოლონელთა წინააღმდეგ.

დანცინგის და ზემო შლეზვიგის წარმომადგენელებმა განაცხადეს, რომ რკინისგზელებმა გადასწყვიტეს საერთო გაფიცვით პროტესტი განაცხადონ გერმანიის ოლქების ოკუპაციის გამო პოლონელთა მიერ.

**დამოკიდებულების აღსადგენათ.**

სასოფლო მეურნეობის უწყების სტატს-სეკრეტარი ავგუსტ მიულერი გაემგზავრა ლიუქსენბურგში რომ მოაწესრიგოს დამოკიდებულობა რეინის მარჯვენა და მარცხენა მხარეს შორის.

**გაფიცვის დასრულება.**

ქვანახშირის ოლქებში და ზემო შლეზვიგში გაფიცვები დასრულდა.

**ტრელსტრი.**

ჰოლანდიის სოც. დემ. ლიდერი ტრელსტრი ჩამოვიდა გერმანიაში, საიდანაც ლოზანაში გაემგზავრა.

# ქევის ხიდის აფეთქების საქმე

**მოწმეთა დაკითხვა-**

მეორე დღეს სხდომას სრულ $11^1/_2$ ხსნის თავმჯდომარე, ვინაიდან ბრალდებულთა მოყვანა დაგვიანდა. თავმჯდომარე წინადადებას იძლევა მოწმეების შემოყვანას. შემოდის მოწმე გომართელი.

გომართელი. (ტფ. მაზრის კომისარი) თავმჯდომარის წინადადებით თუ რა იცის ამ საქმის შესახებ გომართელი მოუთხრობს, რომ იგი ხიდის აფეთქების მესამე დღეს გაემგზავრა ტფ. გუბერნიის კომისარ ბ. მაღლაკელიძის, საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწის პლ. ფაჩულიას და სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ჟორდანიასთან ერთად დილომში. როცა დაუახლოვდნენ დილომს, მინდორში მათ შენიშნეს, რომ მოჰყავთ დაპატიმრებული კაცი, რომელმაც ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ თავი შოროშინის გვარით გააცნო. გარეგან შეხედულობით იგი რაღაც „აბოვანცსა“ ჰგავდა თავზე ხელსახოც წაკრული. ჩვენების დროს მან აგვიხსნა, რომ იგი გაქურდეს ვილაცეებმა და ამ ტრიალ მინდორში გაუშვეს. გაჩხრეკის დრომს კი მას ზედ აღმოაჩნდა 500 მანეთამდე. ასე რომ ჩვენ ეჭვი შეგვეპარა: ქურდებმა რატომ არ წაართვეს ეს ფული. ამიტომ შევიპყარით და დილომში მივიყვანეთ. აქ ცოტა ხნის შემდეგ ასტყდა სროლა. გამოირკვა, რომ სოფლებისაგან შემდგარ მდევარს სროლა აეტეხათ მეორე საეჭვო პირისთვის, რომელიც ბოლოს კიუჩარიანცი აღმოჩნდა. იგი როცა შემოელია ტყვია დანებდა მდევარს და ისიც შევიპყარით.

ბრალმდებელი. ჩხატარაშვილის / გაჩხრეკის დროს რა აღმოჩნდა კიუჩარიანცს

გომართელი. ლუქი, ხიზილალა, რულეტკა და ფული.

თავმჯდომარე. შოროშინის ჩხრეკის დროს ავტომობილის გასაღები ხომ არ აღმოჩნდა.

გომართელი. არა.

სასამართლოს წევრი ჯიბლაძე. რა ეცვა კიუჩარიანცს, ინტელეგენტელეგნტის თუ მუშის სამოსი.

გომართელი. მუშისა.

კუჩარიანცი. სდგება და რაღაცის თქმა სურს. მეორე ბრალდებულები ხელს სწევენ.

ბრალმდებელი ჩხატარეიშვილი. ჰქონდა თუ არა ნაკაწრი კიუჩარიანცს ტანზე.

გომართელი. ჭრილობა ჰქონდა ხელში ტანზე ნაკაწრი არ გაგვიშინჯავს.

პოტებნია. (რკ. გზის ინტერესების დამცველი (ვინ იყო ჩვენების ჩამორთმევის დროს?

გომართელი. ტფ. გუბ. კომისრის თანაშემწე კალანდარიშვილი, საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწე ფაჩულია, მილიციონერები და გლეხები.

პოპოვიანი. (კიუჩარიანცის ვექილი) ვისთან ერთად მოხვედით დილომში.

გომართელი. წინა დღეს სამინისტროს მატარებელს ვახლდი დილომში. მეორე დღეს დილომში კი ვიყავით გუბერნიის კომისარ მაღლაკელიძის, ტფ. მილიციის უფროსიის თანაშემწის ნადირაძის, სართიჭალის კომისრის მაისურაძის და მილიციონერებთა და საგანგებო რაზმის თანაშრომელთან ერთად.

პაპოვიანი. რამდენი ვერსია ძეგვიდან დილომამდე.

გომართელი. არ ვიცი.

პაპოვიანცი. ვის მზრუნველობაზე გაუშვით შოროშინი დაპატიმრების შემდეგ?

გომართელი. 5—6 კაც მილიციონერების.

პაპოვიანი. ვინ ასტეხა პირველათ სროლა კიუჩარიანცმა თუ სხვამ?

გომართელი. კიუჩარიანცმა, როგორც გადმომცეს.

თავმჯდომარე. შეეძლო თუ არა კიუჩარიანცს ეფიქრა, რომ მას ყაჩაღები მისდევენ?

გომართელი. არა.

კარასიევი (თავმჯდომარის ამხანაგი). რა პირობები იყო ამ დროს, ნისლიანი დილა იყო თუ არა?

გომართელი. ნისლი არ იყო.

კარასივი. რა სისტემის რევოლვერი აღმოაჩნდა კიუჩერიანცს?

გომართელი. მაუზერი.

კარასიევი. რამდენ მანძილზე იყავით როცა კუჩარიანცმა შესწყვიტა სროლა?

გომართელი. 40 ნაბიჯზე.

პაპოვიანი. სროლა რამდენს წუთს გაგრძელდა?

გომართელი. 40 წუთამდე.

პაპოვიანი. როცა კიუჩარიანცი გარ-

ბოდა თანაც ისროდა რევოლვერიდან?

გომართელი. რევოლვერიდან ისროდა.

თავმჯდომარე. ბოლოს რატომ აღარ გესროდათ?

გომართელი. იმიტომ, რომ რევოლვერი აღარ მუშაობდა.

პაპოვიანი. როგორ ფიქრობთ კიუჩარიანცს სურდა მოეკლა ვინმე, თუ ისე თავს იგერიებდა?

გომართელი. მის ალაგას, რასაკვირველია, არ დაინდობდა არავის.

კიუჩარიანცი. მდევარში არც ერთი მილიციონერი არ ერია, სულ გლეხები იყვნენ. მილიცია მოვიდა შემდეგ. მე მქონდა 3 აბოიმა 60 პატრონით თითო. მე ვისროლე სულ 110 პატრონა.

თავმჯდომარე. ვის ესროდით?

კიუჩარიანცი. ვინც მე მიმიზნებდა.

თავმჯდომარე. რამდენი ტყვია აღმოაჩნდა ჩხრეკის დროს?

გომართელი. 18 და არც ერთი „აბოიმა".

კიუჩარიანცი. ვინ ჩაიბარა ჩემი ლევორველი?

გომართელი. გლეხებმა.

კანდელაკი (ბრალმდებელი). არ დაინტერესდით და არ გაკვირდით რათ წამოიღო კიუჩარიანცმა ამდენი პატრონა?

გომართელი. არ გამიკვირდა.

თავმჯდომარე ეკითხება სასამართლოსა და ბრალმდებელთ, ხომ კიდევ არა გაქვთ რა საკითხიო და უარის შემდეგ შემოჰყავთ მეორე მოწმე საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწე ალ. პაჩულია.

პაჩულია. ხიდის აფეთქების შემდეგ მეორე დღეს ჩვენ გავემგზავრეთ დილომისაკენ და აქ მინდორში დავინახეთ აი ის პოლკოვნიკი, ეხლა რომ საბრალმდებლო სკამზე ზის და ჩვენების ჩამორთმევის დროს იგი საეჭვო პირათ ესცანით, ვინაიდან ხან იძახდა ყაჩაღებმა გამქურდესო და ხან იძახდა მეგობრებმა მაქეიფეს, მთვრალი ამ მინდორში დამტოვეს და გამძარცვესო. ჩხრეკის დროს კი მას ზედ ფული მთლიანათ აღმოაჩნდა. ამ გარემოებამ და მის გარეგან აბრანძულმა შეხედულებამ ეჭვში შეგვიყვანა, მაგრამ მაინც, როცა იგი დილომში მივიყვანეთ ექიმ ალექსიძეს ვაჩვენე: სიმთვრალისა ხომ არაფერი ეტყობა თქო. ექიმმა გასინჯვის შემდეგ გვიპასუხა, რომ ამ კაცს არამც თუ დღეს, ორი დღეც მგონი არა დაულევია რაო. ამ დროს ასტყდა სროლა, რომელმაც ასე 40 წ. გასტანა და შემდეგ გლეხებმა და მილიციონერებმა მოიყვანეს აი ეს ბრალდებული კუჩარიანცი, რომელსაც რუსზე, ე. ი. პოლკოვნიკზე უფრო თამამათ ეჭირა თავი, პოლკოვნიკი კი რაღაც გარინდებული იყო. კუჩარიანცმა ჩვენების დროს ეს პოლკოვნიკი თავის ამხანაგათ აღიარა, პოლკოვნიკმა კი ცივი უარი განაცხადა მის ამხანაგობაზე. რევოლვერიც კიუჩარიანს გლეხებმა ჩამოართვეს.

თავმჯდომარე. რევოლვერი სწორეთ მუშაობდა თუ არა.

პაჩულია. ცუდათ.

ბრალმდ. ჩხატარაიშვილი. რა აღმოაჩნდა ქიუჩარიანცს, ჩხრეკის დროს?

პაჩულია, ხიზილალა, რულეტკა, ლუქი და ფულები.

პოტებნია. როდის გამოსულა ტფილისიდან.

პაჩულია. აფეთქებამდე.

ჯიბლაძე. ტყე დაბურულია, დიდია თუ არა. თქვენ არ გიკითხავთ რისთვის გამოვიდა ტფილისიდან, ან ამხანაგი არ იკითხა?

პაჩულია. ტყე არც ისე დიდია. ჩვენ შეკითხვაზე მან გვიპასუხა, რომ ტფილისიდან ხანოვაგისთვის გამოველითო. ამხანაგი ე. ი. პოლკოვნიკი გაიძახოდა, რომ ეგ ჩემი ამხანაგი არ არისო.

პაპოვიანი. ვინ იხმარა სიტყვა ამხანაგი.

პაჩულია. კუჩარიანცმა და მეც ვიცოდი, რომ ისინი ორნი იყვნენ.

თავმჯდომარე. თქვენ იცოდით, რომ 1 სომეხია და 1 რუსი?

პაჩულია. ვიცოდი.

ბრალმდ. ჩხატარაიშვილი. სად იყო შეპყრობილი შოროშინი?

პაჩულია. დილომთან 2 ვერსის მანძილზე.

პაპოვიანი. საბრალმდებლო ოქმში ნათქვამია, რომ თქვენ გაეცით განკარგულება მიეღოთ ზომები მათ სადევნელათ.

პაჩულია. მე გავეცი განკარგულება ამ ბოროტ-მოქმედების კვალის გასახსნელათ.


## განცხადებები

# იშვიათი შემთხვევა

იყიდება ყველაფერი, რაც ადამიანს ცხოვრებაში ესაჭიროება მისამართი მადათოვის კუნძული, სადაც იყო შეშის საწყობი კურცხალიასი. 1205 3—3

გორის მაზრაში ასარჩევია თორმეტი

# მომრიგებელი მოსამართლე.

ჯამაგირი მომატებულია. თხოვნები 1919 წ. 15 იანვრამდე მიიღება.

გორის სამაზრო ერობის გამგეობა

1191 5—3

# სასადილო საზოგადოება „იმედი"-სა

ქალთა წრემ განაახლა მუშაობა სასადილო „იმედისა". ყოველ დღე მზადდება გემრიელი სადილები 1 საათიდან—5 საათამდინ. მოწვეულია საუკეთესო მზარეული. ფასები დაკლებულია. სასადილო იმყოფება ძველ სემინარიის შენობაში. 1173 12—8

# ექიმი ი. კ. აზაკელია

## შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჰლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4\frac{1}{2}$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

# ვიპოვნე

საფულე, 23 დეკემბერს ორშაბათს, ტრამვაი № 5-ში, პატრონს ვსთხოვ მობრძანდეს—ვარდისუბნის ქუჩა, № 9. ექიმ ვახტანგ ღამბაშიძესთან. 1220 1—1

---

ბარსეგ ალექსანდრეს ძე მალხაზიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა კვიტანცია № 1179, რომელითაც იყო აზოვ-დონის კომერციულ ბანკში შეტანილი 30.000 მანეთი—5% 1917 წლის თავისუფლების სესხი. 1198 3—1

---

ფილიპე ზურაბის ძე დავლენიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ჯარიდან განთავისუფლებისა, მიღებული 1901 წელს, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1219 3-1

---

ექიმი პეტრე ივანეს ძე ტალინოვსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქორწინების მოწმობა, მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან 1917 წ. მოწმობა გაუქმებულად ითვლება. 1212 3—1

---

სოფ. გუნია კალას (ბორჩ. მაზ.) მცხოვრებთ დანიელ სავისძე ჰაიტოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა, მიღებული მთავარ სასურსათო საბჭოდან 1618 წ. დეკემბრის 17-ს № 2095/3519, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1201 3—3

---

სიმტკიცის მოწმობა, რომელიც აღნიშნულ იყო 1899 წ. ნუსხაში დეკემბრის 30, მე 3194 №-ით, მელანია გიორგის ასულის ბობოკოვას სახელზე, დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება. 1200 3—3

---

ონისიმე თედორეს ძე ციხისელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ორი პასპორტი ერთი მის სახელზე, მიღებული ბარის სასოფლო სამმართველოდან 1908 წ. ივნისის 6-ს, № 315 უვადოთ, მეორე ნინო ივანეს ასულის ციხისელის სახელზე № 106. 1193 3-3

---

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ს. ა. კაგრამანოვი აცხადებს, რომ 1918 წ. დეკემბრის 31-ს, დილის 10 საათზე, მის მიერ მოხდება საჯარო ვაჭრობა პეტრე ბოგოლიუბოვის უძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს თვითმადუღებელს და ფარდაგს, რომლებიც შეფასებულია 500 მან. ვაჭრობა მოხდება პირველი მომრიგებელ განყოფილების ეზოში, კირპიჩნი შესახვევი. № 16. 1213 1—1

---

ნადეჟდა ანდრიას ასული ულიანოვა აცხადებს, რომ სასტუმრო პალას-ოტელში დაიწვა 4% რენტა 400 მან. № 49886, რომელიც მას ეკუთნოდა. 1223 3—1

---

დავკარგე დედის პირადობის მოწმობა და შაქრის ბარათი მპოვნელს ვთხოვ გადმომცეს პირველ რაიონის ბიუროში დათ. ლორთქიფანიძეზე გადასაცემათ. 1286 3—1

---

ოლღა ანტონის ასული ნათიშვილისა ამით აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ფულის მიღების მოწმობა 1.022 მ. 48 კაპ. №-1 2178, მიღებული 8 ნოემბერს 1918 წ. ამიერ კავკასიის რკინის გზათა ხარჯთ-შემკრები სამსახურის დაწესებულებიდან. 1208 3—1

---

ტფილისის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ქვრივმა თამარა კვირიკაძისამ. როგორც მისი განცხადებიდან სჩანს დაუკარგავს სახლის სიგელი, დამტკიცებული ტფილისის უფროსი ნოტარიუსის მიერ 2 მარტს 1904 წ. № 690. 1201 3—1

---

სისხ. სამ. საქ. წარმოების წესდ. მე-846, 847, 848, 851 მუხ. თანახმად, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ ქ. ტფილისის მოქალაქეს ალექსი ივანეს ძე გლაზკოვს, რომელიც ცხოვრობდა ქ. ტფილისში, ნიკოლოზის ქ., ალექსანდრე ნეველის ეკლესიის გალავანში. გლაზკოვი შუათანა ტანისაა, გამხდარი, ბობრი, თვალები ნაცრის ფერი, ულვაშები მოპარსული, ცხვირი თხელი. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს გლაზკოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება გლაზკოვის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1193 1—1

---

გიორგი ისაკის ძე ამბროსაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული საბუთის სოფ. მამასახლისიდან, სამხედრო ბილეთი, მიღებული ტფ. სამხედრო სკრებულოდან, მემანქანეობის მოწმობა, გიორგის ჯვარის ტარების მოწმობა და 600 მ. 1214 3-1

---

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს სერაფიონ იაკობის ძის პოლიანსკის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პოლიანსკის ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1164 3—1

---

ანნა ზენობის ასული ბეკურაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატტესტატი, მიღებული პროფესიონალურ სასწავლებლიდან 1916 წ. მპოვნელს სთხოვენ გაუგზავნოს შემდეგი მისამართით: დუშეთი, მეორე ტუპიკი, № 28. 1189 3—1

---

ბოლესლავ ბადინსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ბილეთი ტფილისის პირველი კერძო ლომბარდისა № 78513, 250 მ. 1196 3-1

---

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ვლადიმერ ადოლფის ძემ ბერგემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ბარბარე ალექსანდრეს ასული, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა ივლისის 9-ს 1899 წ., უკვალოდ დაიკარგა აპრილის თვიდან 1912 წ. ქ. ტფილისიდან. ყველა, ვინცკი იცის დაკარგული ბარბარე ალექსანდრეს ასულის მყოფი მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით სამიტროპოლიტო სასართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა ორის თვის განმავლობაში. 1200 1-1

---

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბოქაული მ. ბეზკროვნი აცხადებს, რომ 1919 წლის თებერვლის 13, დილის 10 საათზე ამავე სასამართლოში. მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ივანე გიორგის ძე ბასტიანოვის უძრავ ქონებაზე. ქონება იყიდება ელენე გიორგის ასულის ტახჩიევის დასაკმაყოფილებლად, რომლისაც ბასტიანოვს მართებს 3.532 მან %-ით. და ხარჯებით 264 მან. 96 კ. ქონება შეიცავს ერთ სართულიან სახლს სამი ოთახით, სამზარეულოთი, ეზოთი, ზომით 90 ოთხკ. საჟ. მამული შეფასებულია 6.000 მან. და მდებარეობს სურპ-სარქისის ქუჩაზე, № 59. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა საწინდარი ერთი მეათედი მამულის ფასისა. მამულის აწერილობის და ყველა საბუთების ნახვა შეიძლება სასამართლოს კანცელარიაში. 1161 1—1

---

საავიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 77393, 50 მ., რომელიც გაუქმებულათ ითვლება. 1217. 1—1

---

სისხ. სამ. საქ. წარმ. მე-846, 847, 848 და 851 მუხ. თანახმად, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით ეძებენ პოდპორუჩიკ რუბენ გრიგოლის ძე ჩალხუშიანს, რომელიც ცხოვრობდა ქ. ტფილისში და რომელსაც ბრალი ედება ძეგვის ხიდის აფეთქებაში. ნიშნები: შუათანაზე მაღალი, შავგრემანი, წვერს იპარსავს, ულვაშები ინგლისურად გაკეთებული, 31 წლის. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ჩალხუშიანი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ჩალხუშიანის ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1258. 1—1

---

სისხ. სამ. საქ. წარმ მე-846, 847, 848, და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ეძებენ სოფ. ხუპრის, დაღესტანის ოლქის მცხოვრებს ომარ სეილ ოღლის, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებულებ. მე-13 და 1654 მუხ. ძალით. ნიშნები: შუათანა ტანის, ქერა, 25 წლის. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს ომარ-სეილ-ოღლი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება ომარ-სეილ-ოღლის ქონება, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეიტანონ საოპეკუნო სამმართველოში. 1257. 1—1

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 23, მოწერილობის თანახმათ, ყადაღაა დადებული არშაკ პოღოსის ძე ზადაკიანის უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. გუდაუთში და შეიცავს მიწის 2 ნაჭერს შენობებით უბ. 54, № 3. ყადაღა აღნიშნულია ამა წლის ყადაღათა კრებულში მე-19 №-ით და დადებულია იმის გამო, რომ ზადაკიანი არ უხდის ანასტასია ივანეს ასულ ლადარიას 40.000 მ. გირავნობის მოწმობით, რომელიც დამტკიცებულია ამა წლის ნოემბრის 23-ს № 86.

1179 (1—1)

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ტფილისის საადგილმამულო ბანკის 1918 წ. ნოემბრის 16 მოწერილობის № 4875 თანახმად, ყადაღა, რომელიც ითვლებოდა ანასტასია ივანეს ასულ ლადარიას უძრავ ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო სოხუმის ოლქის 1916 წ. ყადაღათა კრებულში მე-108 №-ით, ამა წლის 23 ნოემბრიდან გაუქმებულად ითვლება. სოხუმის ოლქის ყადაღათა კრებული № 17.

1178 (1—1)

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 13-ს დამტკიცებული, ამა წლის 7 ნოემბერს, სოხუმის ნოტარიუს ზაგრაისკისთან შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც იოსებ კაპიტონის ძე მოროზოვმა 1000 მ. მიჰყიდა იოსებ ჟუკოვსკის მიწის ნაჭრის ნაწილი ქ. ოჩემჩირეში, ზომით 720 ოთხკ. საჟ. გაყიდული ნაწილი კი 360 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 40 მან. საღერბო 5 მან.

1182 1—1

---

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფ. ნოტ. აცხადებს, რომ ყადაღა რომელიც დადებული იყო გიორგი თედორეს ძე ზოგრაფოპულოს ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1912 წლის ყადაღათა კრებულში მე-248 №-ით, გაუქმებულად ითვლება. ქ. სოხუმის 1918 წ. ყადაღათა კრებ. № 86.

1180 1—1

---

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქის სასამართლოს ამა წლის ნოემბრის დადგენილებით, კოოპერატიულ ამხანაგობათა 1918 წ. ნუსხაში შეტანილია წესდება ცებელდინის მომხმარებელი საზოგადოებისა „ვენერა", რომელიც დაარსებულია მისოკ მოლკონიანის, ოვანეს პაპაზიანის და სხვ. მიერ. 1175 1—1.

---

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქის სასამართლოს ამა წლის ნოემბრის 11 დადგენილებით, კოოპერატიულ ამხანაგობათა ამა წლის ნუსხაში შეტანილია „ნოვოსტრელიცის ეკონომიური მომხმარებელი საზოგადოება," რომელიც დაარსებულია იოსებ სერგის ძე ბარცევის, დიმიტრი კირილეს ძე სოლოხინის და სხვ. მიერ. 1176 1—1

---

საყოველთაოდ ცხადდება, რომ სოხუმის ოლქის სასამართლოს ამა წლის ნოემბრის 26 დადგენილებით, კოოპერატიულ ამხანაგობათა 1919 წ. ნუსხაში შეტანილია წესდება „სოხუმის არტისტიული საზოგადოებისა," რომელიც დაარსებულია დიმიტრი ვასილის ძე ზახაროვის, დიმიტრი ანდრიას ძე ორლოვის, ლევ. ნიკოლოზის ძე ჰილოს და მაკარ ვადიმის ძე ზელენცოვის და. სხვ. მიერ. 1174 1-1

---

ქ. ტფილისის მეოთხე მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული სამ. კან. წესდ. მე—1030 მუხ. თანახმად აცხადებს, რომ 1919 წლის იანვრის 10-ს მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მაგამედ-სადიხ ხეირუმოვ კრიმჩეევის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სახლის ავეჯეულობას. ქონება იყიდება არმენაკ ავანესკიანის და სხვ. დასაკმაყოფილებლად. ქონება შეფასებულია 1631 მ. 80 კ. ვაჭრობა მოხდება ნოვო-ტროიცკის ქუჩაზე № 8. 1218. 1—1


სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე